საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოციალური დაცვის მაჩვენებლები

2023

09.02.2024
www.geostat.ge

09.02.2024

სოციალური დაცვის მაჩვენებლები

(2023 წელი)

2023 წელს, საქართველოში პენსიის მიმღებთა რიცხოვნობამ 838.1 ათასი შეადგინა, რომელთაგან 71.1 პროცენტი ქალია, ხოლო 28.9 პროცენტი - კაცი. პენსიის მიმღებთა 30.3 პროცენტი თბილისშია, 15.8 პროცენტი - იმერეთში, 10.5 - პროცენტი სამეგრელო-ზემო სვანეთში, 10.0 პროცენტი - ქვემო ქართლში, 8.7 პროცენტი - კახეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 24.8 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №1

პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით

(%)



09.02.2024

სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობამ 181.9 ათასი შეადგინა, რომელთაგან 32.9 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 67.1 პროცენტი - კაცი. სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 70.7 პროცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ, 13.1 პროცენტს - ომის მონაწილეები, 11.7 პროცენტს - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები, 4.4 პროცენტს - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, ხოლო 0.1 პროცენტს - სხვა სახის სოციალური პაკეტის მიმღები პირები.

სოციალური პაკეტის მიმღებთა 27.2 პროცენტი თბილისშია, 16.2 პროცენტი იმერეთში, 11.8 პროცენტი აჭარის არ-ში, 9.5 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 35.2 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №2

სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით

(%)



09.02.2024

2023 წელს, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 377.0 ათასი შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობამ - 122.9 ათასი*.

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისშია - 72.8 ათასი, საიდანაც დახმარების მიმღებია 31.9 ათასი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №3

რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა
(ათასი)



*არ მოიცავს საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ოჯახებს, რომლებსაც 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი)

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge